შავი ზღვის წარმოშობა, გეოლოგია და გეოდინამიკა

დავით მიქავა, ბექა ანდღულაძე

davit.mikava374@ens.tsu.edu.ge
beqaandguladze6@gmail.com

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

შავი ზღვა წარმოადგენს უნიკალურ გეოლოგიურ აუზს, რომელიც გამოირჩევა ევოლუციის რთული ისტორიით და მრავალფეროვანი სტრუქტურული მახასიათებლებით. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია ნეოტეთისის ოკეანის სუბდუქციასთან და რკალსუკანა რიფტულ პროცესებთან. ფსკერზე ანოქსიური გარემო ხელს უწყობს ორგანული ნივთიერების დაგროვებას, რაც განაპირობებს მაღალ ნავთობგეოლოგიურ პოტენციალს. ნაშრომში განხილულია შავი ზღვის გეოგრაფიული და გეოლოგიური თავისებურებები, სტრუქტურული განვითარება, ნავთობის სისტემები და თანამედროვე კვლევების შედეგები. წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვანია შავი ზღვის ენერგეტიკული რესურსების უკეთ შესწავლისა და გამოყენებისთვის.